შიდა ქართლი

ენობრივი ნაწილი

ტექსტი - მოსწავლეები კითხულობენ ტექსტის დასაწყისიდან გორის ციხემდე (გვ. 1-4)

ენობრივი კომპონენტი: ტექსტის გაგება-გააზრება, ენობრივი კომპეტენციის განვითარება

1. რა იდეა გაუჩნდა ლაშას თომას ამბის მოსმენის შემდეგ?

2. დააკვირდი ნიმუშს და მასზე დაყრდნობით მოიფიქრე ახალი სიტყვები.

ნიმუში. მოხალისე - მოხალისეობა

მოქალაქე -

მოსწავლე -

მონადირე -

2. წაიკითხე ლაშას და გიორგის წერილი და შეასრულე დავალებები.

- დაასახელე წერილის ნაწილები - თქვი, რომელია მიმართვა, ძირითადი ნაწილი, დამშვიდობება და ხელმოწერა.
- რა არის პირველი აბზაცის თემა?
- რომელ აბზაცშია წარმოდგენილი წერილის მიზანი?
- რის შესახებაა საუბარი მესამე აბზაცში?
- რომელ აბზაცშია ინფორმაცია ლაშა და გიორგის საცხოვრებელი ადგილის შესახებ?

3. გაეცანი ქვემოთ მოცემულ ცხრილს, რომელშიც წარმოდგენილია ინფორმაცია თომას, ლაშასა და გიორგის საქმიანობების შესახებ. შემდეგ ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით ახსენი, რას ნიშნავს მოხალისეობა.

რას აკეთებს თომა	**რა გააკეთეს ლაშამ და გიორგიმ**
• მუშაობს ახალგაზრდულ ორგანიზაციაში, სადაც ახალგაზრდები გეგმავენ სხვადასხვა საინტერესო და გასართობ აქტივობებს. • გაკვეთილების შემდეგ ეხმარება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე თინეიჯერებს.	• ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელს თხოვეს, მიწერეს, რომ უნდათ არდადეგებზე მოხალისეებად მუშაობა და აქვთ მშობლების თანხმობაც. • მოიფიქრეს სამუშაო გეგმა - ასწავლიან ბავშვებს საინტერესო და სახალისო თამაშებს, ჩაატარებენ ინგლისური ენის სახალისო გაკვეთილებს.

რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ მოხალისეობის შესახებ? შემოხაზე, სწორია თუ არასწორი.

- ✓ არსებობს ორგანიზაციები, სადაც მოხალისეები მუშაობენ.
  ა) სწორია ბ) არასწორია.
- ✓ მოხალისედ მუშაობისთვის ორგანიზაციის ხელმძღვანელის თანხმობა საჭირო არ არის.
  ა) სწორია ბ) არასწორია.
- ✓ მოხალისეებს მუშაობას არავინ ავალებს, ისინი საკუთარი სურვილით მუშაობენ.
  ა) სწორია ბ) არასწორია.
- ✓ მოხალისეები საქმიანობაში ფულს არ იღებენ.
  ა) სწორია ბ) არასწორია.
- ✓ მოხალისედ მუშაობისთვის სკოლის მოსწავლეებს მშობლების თანხმობა უნდა ჰქონდეთ.
  ა) სწორია ბ) არასწორია.
- ✓ მოხალისეები მუშაობის დროს სკოლის გაკვეთილებს აცდენენ.
  ა) სწორია ბ) არასწორია.
- ✓ მოხალისეები სასარგებლო საქმეს აკეთებენ - ადამიანებს ეხმარებიან, ასწავლიან და ართობენ.
  ა) სწორია ბ) არასწორია.

4. რას შეჰპირდა ქალბატონი ფიქრია ბიჭებს?

5. შეავსე ცხრილი - ჩაწერე შენს მშობლიურ ენაზე პირველი სვეტში მოცემული ქართული სიტყვები და მათი განმარტება.

სიტყვა ქართულ ენაზე	**სიტყვა მშობლიურ ენაზე**	**სიტყვის განმარტება**
მოხალისეობა		
სახალისო		
შეუდგნენ		
მარცვლეული		
ნანგრევები		

6. **წაიკითხე წინადადებები და შეავსე ისინი ქვემოთ მოცემული სიტყვების გამოყენებით. შერჩეული სიტყვები ჩასვი სათანადო ბრუნვაში.**

ა) ნაზუქისთვის იყენებენ _____ და _____.

ბ) _____ _____გამომცხვარი ნაზუქი განსაკუთრებულად გემრიელია.

გ) ნაზუქი _____ დამზადებული პროდუქტია.

დ) ნაზუქებს აცხობენ ყველა _____.

სიტყვები

ქართული თონე	მარცვლეული	კვერცხის გული	დღესასწაული	კარაქი

7. ქალბატონმა ფიქრიამ ბიჭებს უთხრა: *„იმედია, როცა ნიდერლანდებში დაბრუნდებით, სასიამოვნო მოგონებებს გაიყოლებთ აქედან“.*

როგორ უნდა გავიგოთ ქალბატონი ფიქრიას სიტყვები? შემოხაზე სწორი ვარიანტი.

ა) ნიდერლანდებში დაბრუნებული ბიჭები საქართველოს ძალიან ხშირად მოიგონებენ;

ბ) ნიდერლანდებში დაბრუნებული ბიჭები სიამოვნებით მოუყვებიან ყველას მოგონებებზე;

გ) ნიდერლანდებში დაბრუნებული ბიჭები სიამოვნებით მოიგონებენ საქართველოს;

დ) ნიდერლანდებში დაბრუნებული ბიჭები მეგობრებს ასიამოვნებენ მოგონებებით.

ტექსტი - მოსწავლეები კითხულობენ მონაკვეთებს: გორის ციხე და ლეგენდები გორის ციხეზე (გვ. 4-7)

ენობრივი კომპონენტი: ტექსტის გაგება-გააზრება, ენობრივი კომპეტენციის განვითარება

1. რატომ იყო მნიშვნელოვანი გორის ციხის მტრებისგან დაცვა?

2. შეავსე წინადადებები ქვემოთ მოცემული სიტყვების გამოყენებით.

ციხე-სიმაგრეში ყველა საჭირო ნივთს იმარაგებდნენ ხოლმე .... ადამიანებს ხშირად დიდი ხნით, თვეობით ან წლობით უწევდათ იქ ცხოვრება. გორის ციხეს საიდუმლო გვირაბი ჰქონდა .... ციხეში მცხოვრებ ადამიანებს წყალი მოეზიდათ. საქართველოს ციხე-სიმაგრეებში ... მეტი ეკლესიებია, ... მეჩეთები.

სიტყვები: უფრო ..... ვიდრე რადგან იმისთვის, რომ იმიტომ, რომ

3. რატომ იყო წყალი ყველაზე მეტად საჭირო ციხე-სიმაგრეში მყოფი ადამიანებისთვის?

4. რაზე მოგვითხრობს გორის ციხის ლეგენდა? შემოხაზე სწორი ვარიანტი.

ა) გორის ციხის მნიშვნელობაზე;

ბ) გორის ციხის აღდგენაზე;

დ) გორის ციხის აგებაზე;

ე) გორის ციხის არქიტექტურაზე.

5. იხელმძღვანელე ნიმუშით და დაალაგე ლეგენდაში გადმოცემული ინფორმაცია სწორი თანმიმდევრობით - რგოლში ჩაწერე შესაბამისი ციფრი.

1. თამარ მეფის სანადიროდ წასვლა

- ○ ახალგაზრდა მხედრის დაღუპვა
- ○ თამარ მეფის სიკვდილი გორის ციხეში
- ○ ტბის დაშრობა თამარ მეფის ბრძანებით
- ○ მიმინოს დაკარგვა
- ○ გორის ციხის აგება თამარიდ ბრძანებით.

6. გორის რომელ ისტორიულ ადგილებზეა საუბარი ბოლო აბზაცში?

ტექსტი - მოსწავლეები კითხულობენ ტექსტის მონაკვეთებს: გორის კეთილდღეობის სახლი, გორის დრამატული თეატრი, ოსკარი და ვარდისფერი ქალბატონი (გვ. 7-13)

ენობრივი კომპონენტი: ტექსტის გაგება-გააზრება, ენობრივი კომპეტენციის განვითარება

1. **რა საერთო მიზანი აქვთ სხვადასხვა რეგიონში არსებულ კეთილდღეობის სახლებს? შემოხაზე სწორი ვარიანტი**

   ა) ადამიანებზე ზრუნვა;
   ბ) ხელნაკეთი ნივთების დამზადება;
   გ) გამოფენა-გაყიდვის მოწყობა;
   დ) სახელოსნოების მოწყობა.

2. ვინ მუშაობს გორის კეთილდღეობის სახლის სახელოსნოში?
3. რაში ხარჯავენ ნივთების გაყიდვით მიღებულ ფულს?

ტექსტი - მოსწავლეები კითხულობენ ტექსტის მონაკვეთებს: სტალინის სახლ-მუზეუმი გორში, პარა-კალათბურთის შეჯიბრი, მოხალისეობის დასასრული (გვ. 13-19)

ენობრივი კომპონენტი: ტექსტის გაგება-გააზრება, ენობრივი კომპეტენციის განვითარება

1. რით გამოირჩეოდა გორის თეატრის სპექტაკლები საქართველოს სხვა ქალაქებში დადგმული სპექტაკლებისგან?
2. რა სპექტაკლი ნახეს ბავშვებმა გორის თეატრში?
3. შემოხაზეთ, სწორია თუ არასწორი.

✓ სპექტაკლი „ოსკარი და ვარდისფერი ქალბატონი“ გორის თეატრის მცირე სცენაზე დაიდგა. ეს ნიშნავს, რომ გორის თეატრში არსებობს დიდი სცენაც.
ა) სწორია ბ) არასწორია.

4. რა თამაში შესთავაზა დეიდა როზამ ოსკარს?
5. სტალინის სახლ-მუზეუმის რომელი დარბაზით დაინტერესდნენ ბიჭები და რატომ?
6. მეწყვილესთან ერთად გაითამაშე თომასა და გიორგის დიალოგი.
7. წაიკითხე ქვემოთ მოცემული წინადადებები და შემოხაზე, სწორია თუ არასწორი.

   ✓ სტალინის მშობლიურ სახლში ორი ოთახია.

   ა) სწორია ბ) არასწორია

   ✓ სტალინის მუზეუმის კედლები წითელი მარმარილოთია მოპირკეთებული.
   ა) სწორია ბ) არასწორია

- ✓ სახლში, სადაც სტალინი დაიბადა სხვადსხვა ქვეყნის მმართველების საჩუქრები ინახება.

  ა) სწორია ბ) არასწორია

- ✓ სტალინის ვაგონი მუზეუმს 1985 წელს აჩუქეს.

  ა) სწორია ბ) არასწორია

7. რა გააკეთეს ლაშამ და გიორგიმ პარაკალათბურთის მატჩისთვის?

8. როგორ დაემშვიდობნენ გორის კეთილდღეობის ცენტრში ნიდერლანდელ სტუმრებს?

9. რა შედეგით დასრულდა მოსწავლეების ადვოკატირება?

10. შეავსე ცხრილი.

ლექსიკონის შედგენა

სიტყვა ქართულ ენაზე	სიტყვის განმარტება	სიტყვა მშობლიურ ენაზე
დრამატურგი		
პრემიერა		
მედდა		
მოპირკეთება		
ფსევდონიმი		
პარაკალათბურთი		